ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47233392**
თარიღი:**05/12/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის - ლაშა თოლორდავას ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 13 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - გუთურის ადმინისტრაციული ერთული.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ლაშა თოლორდავა - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდმარე;

გიორგი პაიჭაძე - მერის წარმომადგენელი გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე და საკრებულოს რეგლამენტის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანაგრიშის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დამსწრეთ წარედგინა ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემეური საკითხების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ქონდა ამომრჩვლებთან (მოქალაქეებთან). მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა. არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების შეძენისა თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის შესაბამისად.

უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში, ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების გაცემის წესის შემუშავებაში, მერის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იღებდა მონაწილეობას სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებაში (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ: გასაწმენდია სანიაღვრე არხი ე.წ.,, სიმონიშვილების“ უბანში;

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია დატბორილია წყლით და მოსაწყობია სანიაღვრე სისტემა;

სარეაბილიტაციოა სკოლის ეზოს გვერდით შემავალი ჩიხის გზა და შიდა გზები;

შემოსაღობია გუთურის სტადიონი.

ლაშა თოლორდავამ მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდა მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

ასევე, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი.

სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი